



საქართველოს საზოგადო-მაცნო-

ცალკე ნომერი 10 კაპ.

მიზრი და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია ღიაა 9—3 საათამდე.

წელიწადი მისამე

მისამართი: თბილისი, Габაевский пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპოზისა: თბილისი კლდე.

- ს ა რ ჩ ე ვ ი:
1. საერობო საქმე.—რ. გ-ესი.
 2. ომი და ქართველ-სომეხთა ურთიერთობა.
 3. გერმანიის დემოლიტარიზმი.—ლიოგენისა.
 4. მსმ გაუმარჯვას ამშენებლებს.—Legatus-ისა.
 5. ნაწვევები ტირტუს ჰოეზიადან. თარგმ.—დ. კასრაძისა.
 6. ზრესა.
 7. შილიოჩე-ბი.—ეკალისა.
 8. დაჭრადი აფიდრის წერილი.
 9. ფაუსტი.—ა. შ-ისა.
 10. ქართული თეატრი.—Arbiter-ისა.

საერობო საქმე

გაზეთებმა მოგვიტანეს ამბავი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს კავკასია მომზადებულად უცენია ერობის მიღებისათვის, ვინაიდან მისმა მოსახლე ერებმა სახელმწიფოს დიდი გასაჭირის დროს—გამოიჩინეს საკმაო პატრიოტიზმი. ჩვენ არ შეუდგებოთ კრიტიკას იმისას თუ რა დამოკიდებულება აქვს სახელმწიფოებრივ პატრიოტიზმს და ერობისათვის მზად ყოფნას, ჩვენ ვიღებთ მხოლოდ ფაქტს. რომ უმაღლეს სფეროებში დროის შესაფერისად უცენიათ შემოღება ერობისა კავკასიაში. ამ აღიარებას უნდა მოჰყოლოდა რასაკვირველია პრაქტიკული ნაბიჯებიც, ე. ი. ნიადაგის მომზადება ფაქტიურად ერობის შემოსაღებლად. ბიუროკრატიისათვის არაჩვეულებრივი სისწრაფით, პირველი პრაქტიკული ნაბიჯები გადადგმულ იყო კიდევ და, როგორც ვიცით, ამ მიზნით ჩამოვიდნენ სრულიად

რუსეთის ერობის კავშირის წარმომადგენელიც. ამ პირთ უნდა გაეცნოთ ადგილობრივი ნიადაგი, გამოეძებნათ შესაფერისი ორგანიზაცია-ბუდეები, რომლებსათვისაც მიენდოთ შემუშავება შემდეგი ეტაპებისა ერობისათვის და ის თანხები, რომელნიც უკვე გადაიღო საერობო დახმარებისათვის კავკასიაში. გაზეთებმა პირველ ხანებშივე აღნიშნეს ის მოვლენა, რომ საქართველოში, მაგალითად, ერობის ზოგიერთ ფუნქციათა განხორციელება ნაკისრი აქვს გუბერნიათა და მაზრების დეპუტატთა საკრებულოებს. ბუნებრივი და მოსალოდნელიც იყო, რომ იმავე გაზეთებმა თავიდანვე აუწყეს საზოგადოებას, რომ სწორედ დეპუტატთა საკრებულოებს ევალებათ საერობო თანხების მოხმარებაც და შემდეგში ნამდვილი ერობის საქმის მოგვარებაც. რაღა თქმა უნდა, რომ დეპუტატთა საკრებულოები, რომელნიც ამჟამად წოდებრივნი არიან, ვერ გამოხატავენ მათელს საზოგადოებრივ მისწრაფებათა ჯამსა, მაგრამ თავისი განსაკუთრებული ადგილობრივი ხასიათით მათ დაიმსახურეს მთელი საზოგადოების სიმ-

პატიები სწორედ საერობო ფუნქციების ასრულებით და მათ გარშემო იკრიბებოდა ცოტად თუ ბევრად ყველა კულტურული ორგანიზაცია და ელემენტი. ახალი დავალება, რომელსაც აკისრებდა სახელმწიფო და სრულიად რუსეთის ერობის კავშირი, უეჭველია უფრო გააფართოვებდა იმ ფარგალს, რომელშიაც დებუტატთა საკრებულოები მოქმედობენ და იმ კულტურულ წრესაც, რომელიც იტვირთებდა ამ მძიმე და საპასუხისმგებლო საქმეს. დღევანდელ დღეს ეს მით უფრო საჭირო იქნებოდა, რომ მსოფლიო ომმა ერთის დაკვრით დასცა ძირს ყოველი დარგი მეურნეობისა და ნამეტნავად მუხრუჭი მოუჭირა სასოფლო-მეურნეობას, ერთად-ერთ მარჩენალს სწორედ ჩვენი ქვეყნისას,

მაგრამ, როგორც ბევრი სხვა უმაღლესად მოწონებული „რეფორმა“ კავკასიისათვის, ვიდრე ადგილობრივ რეალურ სახეს მიიღებდეს, გაივლის ხოლმე ადგილობრივ მოსაქმეთა საკრებში, ისე ერობის პირვანდელი სახე გაიკრა და გაიკრიცა თვით კავკასიაში. ჩვენ არ ვიცით რა მოსაზრებით ასცდა პირვანდელი გადაწყვეტილება დებუტატთა საკრებულოებს და ერთად-ერთი საგრძნობელი შედეგითი. რომელიც „დაიმსახურეს კავკასიელთა“ და სხვათა შორის ქართველებმაც მაღალ სფეროებისაგან — ეს შედეგითი გაიყინა რაღაც არა ბუნებრივ დაწესებულებაში, ჩვენ არ განვიხილავთ დაწვრილებით იმ სიას, რომლის წევრთ უნდა განაგონ შემდეგი საერობო საქმე კავკასიაში, მაგრამ აუცილებლად აღსანიშნავია ის ფაქტი რომ აქაც, ამ საკითხშიაც გვერდი აქვს აქცეული ადგილობრივი საზოგადოების იმ ნაწილისათვის, რომელსაც ჰქვია ქართველობა. დღევანდელი სახელმწიფოებრივი კურსი, უმაღლესის მთავარ-სარდლის სიტყვებს შემდეგ თითქო შეიცვალა რუსეთის მოსახლე ყველა ერისათვის, სამინისტრომაც კი აღიარა საკმაო მომზადება კავკასიელ ერებისა ერობისათვის, მაგრამ, როგორც ბევრჯერ უფიქროს, კავკასიელ ერებს საქმე მუდამ რუსულ ანდაზის ზეგავლენას განიცდის: „у семи нянекъ — дитя безъ глазу.“

რ. ზ.

ომი და ქართველ- სომეხთა ურთიერთობა

წარსულ ნომერში ჩვენ შევჩერდით იმაზედ, რომ ომის შემდეგ საჭირო იქნება უფრო მკაფიოდ გაყვანა სადემარკაციო ხაზისა ჩვენ მიწა-წყალთა შუა, ვიდრე ეს აქამდის იყო.

სომეხებისაგან ავტონომიის მოთხოვნა ოსმალეთში თანდათან ირკვევა რომ უტოპი არ არის ხდება, ვინაიდან ყველა სხვა მოსაზრებათა გარდა, რიცხვი სომეხთა მოსახლეობისა ოსმალეთის სასომეხეთში იმდენად მცირეა სხვა ერებთან შედარებით. რომ პოლიტიკურ ტერიტორიალური ავტონომია მათი ექვს სომეხურ ვილაიეთში... და კილიკიაში შეუძლებელი ხდება, როგორც სამართალის, ისე უადრესად ძალთა განაწილების მიხედვით... რადგან პოლიტიკაში სამართალს და სხვა ამგვარ სანტიმენტალობას გასაფიქროს არასოდეს არა ჰქონია ის მთავარი საფუძველი კი, რომელზედაც დღევანდელი ომი თითქო აშენებს პატარა ეროვნებათა მომავალ ბედნიერებას — **რეალური მოსახლეობა**, მეტად სუსტია სომეხებისათვის. უნდა ვიფიქროთ, რომ ავტონომია, რომელსაც შეიძლება ეღიროს ოსმალეთის სასომეხეთი, უკიდურეს მდგომარეობაში, იქნება არა პოლიტიკურ-ტერიტორიალური, არამედ კულტურული ამ უკანასკნელის სიფართოვეც დამოკიდებული იქნება სამთა შეთანხმების და სამთა კავშირის ძალთა მომავალ განწყობილებაზედ, ერთი და მეორეც — მათ თავგამოდებზედ იმ ინტერესების დასაცავად, რომელსაც წარმოადგენს მათთვის ოსმალეთის სასომეხეთი. ბევრია დამოკიდებული რასაკვირველია იმაზედაც, თუ რა ტაქტიკას დაადგებიან თვით სომეხები და რა უნარს და ძალას გამოიჩინენ თვითონ, რაზედაც წინა წერილშიაც გვქონდა ბაასი.

მაგრამ ყველა ზემოაღნიშნული გვანტერესებს ჩვენ, ქართველებს იმდენად, რამდენადაც ასეთი მომავლის პერსპექტივები საჭირო და სასურველია ჩვენთვის, რომ ერთხელ და სამუდამოთ გამოირკვეს ჩვენი ურთიერთობა. ამ მხრივ არავის და ნამეტნავად სომეხებს ექვი არ უნდა ჰქონდეთ ჩვენს გულწრფელობაში, რომ სომეხების ავტონომია ოსმალეთის ნაწილში, ვისი პროტექტორატის ქვეშაც უნდა იყოს — ჩვენთვის სასურველია, ვინაიდან ხელსაყრელია. მაგრამ აქაც ანგარიში უნდა გაუწიოთ არა მარტო ფსიხოლოგიურ და სანტიმენტალურ მოსაზრებათ

რომ ადამიანი იქით იწვევს საცა უჯობს და სომხე-ბიც გამოეწურებინან სხვა ქვეყნებს, რომ თავის სამ-შობლო კერას დაუბრუნდნენ; არამედ იმ ძირითად თვისებასაც, რომელიც ახასიათებს სომხებს. ეს უკუ-ნასკნელი კი არ გვაძლევს გარანტიას, რომ სასომ-ხეთოს ავტონომია მართლაც განათავისუფლებს თუნდა კავკასიელ სხვა ერებს მათი ზრახვებისაგან — მე მოგახსენებთ იმ თვისებაზედ, რომლის წყალობითაც სომეხი საცა უნდა გადაადლოს ბედმა, ყოველგან შეეგუება პირობებს, თუ ოდნავ მაინც გაიჩარხება მისი საქმე. თუ სომეხმა დაინახა, აქ უფრო კარგი ყოფილა, მას აღარ მოიკითხავს სამშობლო კერა, იქნება იგი რუსეთში, საქართველოში, ამერიკაში, თუ სხ. ამის მაგალითებს ბევრს არ მოვიყვან და საქართველოში მოსახლე სომხობის ისტორია ამას ამტკიცებს. ისინი ერთობიერად მომოსახლა დავით აღ-მაშენებელმა და მაშასადამე საქართველომ თავისი ნებთ სტუმრად მოიპატიჟა ისინი, შემდეგ ასეთივე ნებაყოფლობით გადმოსახლა ჩვენში ერეკლე II-მ და სომხობამ ისე მაგრა მოიკიდა ფეხი საქართვე-ლოში, როგორც სამშობლოშიაც არაა მოკიდებული. ამას რასაკვირველია ხელს უწყობდა ქართველ შე-ფეთა მფარველობა, როგორც მათი ეროვნებისა, ისე მათი სარწმუნოებისადმი. მაგრამ მას შემდეგაც რაც საქართველო თავისი ნებთ რუსეთს შეუერთ-და და ნაწილ ნაწილ დაჰკარგა თვით მოქმედება — პროცესი სომხების გადმოსახლებისა არ შეჩერებუ-ლა. სურდათ ქართველებს თუ არა სურდათ — ამას არავინ დაობდა. ობიექტიურმა მსჯელობამ უნდა დაგვარწმუნოს, რომ ყოველ შემთხვევაში წინააღ-მდეგობას არავინ უწყვედა, ვინაიდან არასოდეს სა-ქართველო არ ყოფილა სხვა ეროვნებათა მჩაგვრე-ლი თავისუფლების დროსაც და როგორ შესძლებ-და ამას მაშინ, როცა მისი პოლიტიკური ბედი დი-დი რუსეთის ხელში იყო.

უკანასკნელი გადმოსახლებანი სომხებისა მე-ტად ხელოვნურ პროცესს წარმოადგენდა, რადგან მათ ასახლებდნენ იმ ქართველების ადგილებზედ, რომელნიც ძალით თუ ნებთ გადადიოდნენ და გარბოდნენ ოსმალეთში. 1801 და 1877 წლების შემდეგი ხანები სახსვს ასეთი ხელოვნური იმიგრაც-ციით. მაგრამ სომხობისათვის, როგორც ზემოდაც მოგახსენეთ, მისი ძირითადი თვისების გამო, მნიშ-ვნელობა არა ჰქონდა ასეთ არაბუნებრივობას: იმათ დაურობდათ მშვიდნიერი მიწები, შეეგუებენ აქაურ მშვენიერ ჰავას და დარჩნენ.

აი სწორედ აქედან იწყობა უკვე ის პროცესი,

რომელიც ჰბადებს ქართველ-სომეხთა უთანხმოებას. პირვანდელი სტუმრები, ნებთ და პატივით მოპა-ტივებულნი, შემდეგ ისე გამარავლდნენ თანდათან — და უკვე არა ნებაყოფლობით — რომ თითქმის არა მარტო გაუთანასწორდნენ რიცხვით მასპინძლებს, არამედ გადააქარბეს იქ, შინ, ოსმალეთში დარჩე-ნილებს. უკანასკნელი სტატისტიკური ცნობებით ირკვევა, რომ კავკასიაში, მიუხედავად იმისა, რომ სომხეთი ოსმალეთშია, — კავკასიაში უფრო მეტია სომეხი, ვიდრე თავის სამშობლოში. ეს პროცესი კავკასიის უომრად დაპყრობისა არამც თუ არ მოს-პობილა და ჩვენ თვალწინ გაიარა, დღესაც მეთო-დიურად სწარმოებს და ინტენსიურ ხასიათსაც იღებს. მაშინ როდესაც თვით სასომხეთში სომეხი ნახე-ვარ მილიონს ძლივს აღემატებინან, კავკასიისა და საქართველოში მილიონამდე აღიან. მერე როგორა გგონიათ, ესეთი არა-ბუნებრივი მოვლენა იწვევს მათში ებრაელებისებურ ტირილს სამშობლო მხარე-ზედ? სულაც არა, ისინი არამც თუ შეეგუენ ასეთ მდგომარეობას, მათი მოწინავე ხალხი მთელ პოლი-ტიკურ სისტემასაც იმუშავებს იმაზედ, რომ „დიდი სასომხეთო“ შეიცავს ამიერ-კავკასიისა, ოსმალეთის 6 ვილაეთს და კილიკიასაც. რასაკვირველია, ასეთი პოლიტიკური პრეტენზიები არ შეეხამებინან სინამ-დვილეს, მაგრამ ის განუწყვეტელი ხელოვნური იმიგრაცია, რომელიც აი დღესაც, დღევანდელ დი-დი ომის დროსაც გაგრძელებას წარმოადგენს წი-ნანდელეებისას, უდავიდარაბოდ ამაგრებს ყოველ შემთხვევაში საფუძველს ამ პრეტენზიისას ამიერ-კავკა-სიაში.

დღევანდელი ომი მეტად სასტიკია, მისი მსხვერპლნი ათასობით და ათიათასობით ირიცხებიან და სულსა ხუთავს წარმოადგენა, თუ რა აოხრებასა და ჟლეტას განიცდის მშვიდობიანი ხალხიც მთელ ქვეყნაზედ. ვის არ შეაძრწუნებდა და გულს არ აუშ-ღვრევდა მაგალ. „კავკასიის სლოგოსაგან“ მოყვანილი ცნობა, რომ 17 სომხური სოფელი ოსმალეთში ამოუღებელი იყო და მიწასთან გასწორებული, მაგრამ გრძნობიერება ერთია, გულის წყლული, და პოლიტიკური შემეცნება კი სრულიად მეორე. თუ ომიანობა თავისი სიმკაცრით გონებას დაგვიხშობს, მაშინ მისი შედეგები მშვიდობიანობის დროს უფრო სასტიკნი იქნებიან და აღმგველნი პირისაგან მი-წისა.

არავის შეუძლიან იწინასწარმეტყველოს წინ-დაწინ, რითი დასრულდება მსოფლიო ომი; ვისი გამარჯვებით, ვისი დამარცხებით, ვინაიდან ეს ტუ-

მინებიც: გამარჯვება, დამარცხება ისეთი რთულია დღევანდელ პირობებში, რომ გამაჯვებული შეიძლება მეტად დაზარალებს ვიდრე დამარცხებული და სხ. და სხ. მაგრამ ერთია ცხადი, რომ ომის ნასკვიც და მთელი მსვლელობაც მკაფიოდ ღალატებს ეროვნებათა იმ გვარ ფარგლებში ორგანიზაციას, რომ ნაციონალურ ჩაგვრას ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს ადგილი ახლო მომავალში, ომის დასრულების შემდეგ.

ახლა ვიფიქროთ, თუ დიდი ომის ბოლო რა რეალურ მდგომარეობას წააწყდება ჩვენს პაწია კარმიდამოზედ. როგორც ზემოდაც მოგახსენეთ არა ბუნებრივმა იმიგრაციამ სომხობისამ მათი რიცხვი შეამცირა მცირე აზიაში და გააძლიერა ამიერ-კავკასიაში და აი დღესაც ათასობით და ათიათასობით გამოვრბის სომხობა ოსმალეთიდან და სახლდება ამიერ-კავკასიის კიდეებზედ. ჩვენ არ ვიცით როდემდის გავრძელდება დღევანდელი ომი, შეიძლება ერთი, ორი და მეტი წელიწადი გავიდეს, ვინაიდან მსოფლიო ომი, შეუძლებელია ვიფიქროთ, რამდენიმე თვეში დასრულდეს და ამ ხნის განმავლობაში ტალღა იმიგრაციისა სულ აქეთკენ იქნება მომართული. ძნელია წარმოდგენა იმისა, რომ ოსმალეთში საქმე ომის დროსვე იმდენად გამოსწორდეს, რომ გამოხიზნულებს უკან დაბრუნება შეეძლოთ, მაშასადამე ისინი იქ უნდა დამკვიდრდნენ და რადგან, აღნიშნულ თვისების გამო, ადვილად ეკუთებიან ამიერ-კავკასიას, კიდევაც აქ დარჩებიან. ომი გათავდება, ქვეყანა ახალ სახეს მიიღებს, მაგრამ რუსეთი როგორც ეხლა სდგას ოსმალეთზე მალღა, მაშინაც მალღა იდგება პოლიტიკური, თუ კულტურული წესწყობილებით და ამგვარად უფრო მიმზიდველი იქნება სომხებისათვის, ვიდრე ოსმალეთი. აი ამ ხელოვნური და არა ბუნებრივი წესით გადმოწეული ცენტრი სომეხთა მოსახლეობისა—უნდა მერნისშიაც შეიქმნას ადგილობრივ მოსახლეობისათვის საღაო საგნად და ამით სახელმწიფოსათვისაც შეუძლიან გაჩენა უსიამოვნებისა.

რეალური მოსახლეობის პრინციპს ხელოვნურად ჰქმნის ოსმალეთიც, როცა ელექტავს სომ

ხებს და მათ ადგილს ასახლებს ოსმალეობს, მაგრამ ასეთ რეალურ მოსახლეობას თვით სომეხნიც ეწინააღმდეგებიან, როგორც უკანონოს, ხელოვნურს, სასტიკს და წინააღმდეგობა იქნებოდა სომხებს დაეცვათ ეს პრინციპი ამიერ-კავკასიაში, საცა ისინი ფეხს იკიდებენ ასევე ხელოვნურად, მოსახლე ერთა ფიზიკური ელექტის გამონაკლისით. დღეს ჰოლანდია, მ.გ., ინგლისის და საფრანგეთის სახლრები სავსეა ბელგიელებით. მაგრამ ომის შემდეგ ისინი უკან დაბრუნდებიან და ვერ წამოაყენებენ რეალურ მოსახლეობის პრინციპს, აქ კი დიდი ხნის გამოცდალება ამტკიცებს, რომ შემოხიზნული სომხის ერი რეალურ მოსახლეობის პრინციპს არა მარტო თვითონ ემყარება არამედ ადგილობრივაც პოულობს მომხრეებს—აი საფრთხე.

გერმანიის დემოლიტარიზმი*)

უეჭველია, არა ერთგან გაიგონებდით, რომ დღევანდელი ომი ეს გადამწყვეტი ბრძოლაა გერმანიის პალიტარიზმთანაო. გერმანიის მილიტარიზმის გაქრობა—აი ის დიდი ოცნება, რომელიც იპყრობს თვითეულს სახელმწიფოს, თვითეულ ადამიანის გონებას. გერმანიის მილიტარიზმის განადგურებას დაუკავშირეს მსოფლიო მშვიდობიანობის ბედ-იღბალი, იქნება იმ სანტარო ველ-მინდორის აღმოცენებაც კი, სადაც მგელსა და ცხვარს ერთად შეეძლებათ ცხოვრება. მაგრამ ნუ აყვებით გარეგნ გრძობებს და ცოტაოდნად სკეპტიკის ექვი შევიტანოთ, მართლა ეს ასეა? ვნახოთ, ერთი-ერთმანეთის მოწინააღმდეგეთა აზრებს, გავეცნოთ ახლოს, იქნებ მან უფრო ნათლად დაგვანახვოს ჩასაქოლავ გერმანიის მილიტარიზმის ადგილას რომელი ერთი არკადიის ველ-მინდორი გაიჭიმება.

ამ კითხვაზე პასუხის მისაგებად ჩვენ თავს ვინებებთ ინგლისს, რადგანაც მან უკვე ვის-უბრეთ წარსულ კვირის მორიგ წერილში. ნურც კულტურულად ჩამორჩენილ ქვეყნებზე, ვიტყვიტ ვით რასმე არამედ საფრანგეთს, მიემართოთ, რომელიც მსოფლიო განათლების ჩირაღდნად ითვლება.

დღიდან ომის გამოცხადებისა მთელი საფრანგეთი შურისძიებისა და ზიზლის ბუდეთ გარდაიქმნა გერმანიის მოსასპობლად. ჯერ კიდევ მაშინ, როდეს

*) ეს წერილი გადმოღებულია „რუს. ველ“-დან.

საც გერმანიას ომი არ გამოეცხადებინა მისთვის, ფრანგთა გამოჩენილი ფალავანი მინისტრი კლემანსო დღე და ღამ კალმის მახვილით მთელ ორმოცი წლის დაგუბებულ ზიზლს პირს უხსნიდა და „L'homme libre“-ში გერმანელებს იხსენებდა როგორც აბაშებს, მცარცელებს, ბონოს*) ამხანაგებს. რა მოხდებოდა შემდეგ, ამის გათვალისწინება ხომ უფრო ადვილი იქნება, მით უმეტეს დღეს, როდესაც მას წინ ყოფნა არ ყოფნის საკითხად წამოყენებულია. მართლაც, დღეს, როგორც ამას პარიზელი კორესპონდენტები გადმოსცემენ მრავალ ჟურნალ-გაზეთებს, არა მარტო კლემანსო, ანუ პარტიული მესვეურნი, არამედ მთელი ხალხის ცხოვრება, მისი მაჯის ცემა ომის ნერვზეა გადაბმული, ომითა ჰსუნთქეს, ომის ცეცხლში იწრთობა და ემოციითა მრავალ-ფეროვანი წყვეტებით შურის ძიებას მოუწოდებს. ამ მოძრაობამ მოსპო პარტიული დიფერენციაცია. პარტიული ტრაგედია მხოლოდ ერთ კვანძად გაინასკვა, რასაც შეგვიძლიან ვუწოდოთ ტლანქი მიმდინარეობის სახეობა, ტლანქი რეაქციის დღესასწაული, რომლის საწინააღმდეგოდაც ამოწვდილ მახვილს აელვარებდა არა თუ სოციალისტური პარტია, არამედ რადიკალებიც კი. მოდღესასწაულე რეაქციას გულწრფელად სჯერა, რომ გამარჯვება მის მხარეზეა, რელიგიური გატაცებით იგი თავის თავზე დიდ წარმოდგენისაა, იგი აღმერთებს თვის არნიას! რესპუბლიკანურმა და დემოკრატიულმა აზროვნებამ, რომელიც პასიფიზმითა ჰსუნთქვდა და საყოველთაო კეთილდღეობაზე ზრუნავდა, დღეს თავდაცვის პრინციპზე გადასცვალა და საქვეყნოდ ჰლაღადებს, რომ ცივი ურწმუნოება კვლავ დიად რწმენად შეიცვალოს, საკაცობრიო იდეალები ერისა და სამშობლოს ფარგლებში აყვავილდეს, აღდგეს გმირული სული, მხედრობა იქმნას კანონმდებლობის სახეებად, რაინდობა კიდევ მის დამცველ ხმალად. აი, სხვათა შორის, რასა სწერს ცნობილი რომანისტი პოლ-ბურჟე „ECHO de Paris“ ფურცლებზე, რომელიც დღეს-დღეობით ფრანგთა აზროვნების გამომხატველ ორგანოდ ითვლება. ამ გაზეთში ბურჟემ მოათავსა საყურადღებო წერილი: „ომის გაკვეთილები“, რამაც ალაპარაკა როგორც მთელი საფრანგეთი, ისე უცხოელთა პრესაც: ბურჟე წერილების დასაწყისშივე უსა-

ყვედურებს იმათ, ვინც ამტკიცებს, ვითომც საფრანგეთი პრუსიის მილიტარიზმის წინააღმდეგ იბრძვის, ვითომც დღევანდელ ომის მიზანია ჩაჰკლას ეს მილიტარიზმი. „ყველა ეს, ამბობს იგი, პასიფისტთა ძველის ძველი ლათაიებია, რამაც საფრანგეთი დაღუპვის გზაზე დააქანა და საშუალება მოუსპო მძიმე იარაღის ჩამოსასხმელად, სამშობლოს სიძლიერის განსამტკიცებლად. შემდეგ იგი გადაქრით აცხადებს, რომ ჩვენ, ფრანგები, ვებრძვით არა პრუსიელთა მილიტარიზმს, არა იუნკრობას, არა გერმანიის მთავრობას, არამედ ნემენც ხალხს. გერმანია წარმოადგენს უზარმაზარ სავაჭრო სახლს, ვაჭრობა-მრეწველობის ასპარეზს, რომელიც მთელ ქვეყანას დიპლომატიურად ეკონომიურად, თუ მას მთავარი ღერძი არ ჩაუტეხეთ—ეს არის მისი მილიტარიზმი. აბა წაიკითხეთ ფრანკფურტის ხელშეკრულება, თვითეულს სტრიქონში, თვითეულს მის პარაგრაფში თქვენ ჰხედავთ ბისმარკის იდეების ბეჭედს, რომ არმია და სამშობლო მხარე ურთიერთთან მჭიდროდ დამოკიდებული უნდა იყოს, რომ არმიაქარხნების გაგრძელებას წარმოადგენდეს. ეს პროგრამა მათ შეასრულეს ზედმიწევნით. ნემეცი ჯარის კაცი ნაციონალურ ფორმების ელემენტად გარდაიქმნა, როგორც მისი დირექტორი და აქციონერი. მასვე ეკუთვნის ინტელიგენტი. გერმანიაში არმია და კომერცია მეთოდების შედეგად უნდა ჩაითვილოს. ამავე მეთოდს ეკუთვნის უნივერსიტეტი, პროფესორობა და სხვა. ყოველისფერი იქ მეცნიერულია, შეეხება ეს ჯართა ორგანიზაციას, ტექსტების განმარტების, ვაჭრობას თუ სხვა რამეს, ეს სულ ერთია. დღევანდელი ომიც ნამდვილი მეცნიერულია. ამნაირად თქვენ ხედავთ არა გერმანიის მილიტარიზმს, არამედ მთელს რასას, რომლის ნადა სრულებითაც არ შეეგუება ჩვენს არსებობას. იგი მზადაა, რომ ჩვენ ჩაგვითქას, მოგვსპოს თვის კეთილდღეობის გამოისად, რომ აპყვავდეს, გაჰფურჩქნოს თვისი იდეები...“

ბურჟე მარტო ამით არ კმაყოფილდება. იგი საჭიროდ სთვლის, რომ გერმანიის გაერთიანება დანგრეულ იქმნას, მოსპოს მთელი იმპერია და მის ადილას დარჩეს მხოლოდ გერმანელ სამთავროთა მტვერი. უმთავრესად კი ჩაკლული უნდა იქმნეს გერმანული სული, რომ მას შემდეგ მიაღწიოს აღარ შეეძლოს გაერთიანება. ამით ქვეყანას დაუშვტკიცებთ, რომ გერმანიის 1870 წ. გაერთიანება მხოლოდ შემთხვევითი იყო, რომ პირველობა ისევ საფრანგეთს უნდა დარჩეს, რომ მხოლოდ ამ უკანასკნელსა

*) ბონო ექსპროპრიატორთა მეთაერი იყო, რომელიც შარჰან მოჭკლეს ჰარისში. მის გმირბას მთელი საფრანგეთი დღესაც სიმძერებით ასწერს.

აქვს უფლება იყოს ძლიერი, სამხედრო ძალზე და-
ყრდნობილი.

ამნაირად, თუ დღეს დაქრილი შეიარაღებული
პატარა დავითი ებრძვის ძლიერს გოლიათს, თუ მი-
სი წამოქცევა მოუსურვებია მას, არა იმიტომ, რომ
ქარქაშში ერთხელ და სამუდამოდ ჩააგოს თავისი ნა-
ხელი, არამედ მუდამ ამოდებული იქონიოს, რომ
არვის შეეძლოს მასთან წარბის შეკვრა, ხმის ამო-
ღება. ასეთ კონცეპციის პერსპექტივებში იმალება
დიდებული სანახაობა გამარჯვებული საფრანგეთისა,
რომლის საზღვრებში შედის, რა თქმა უნდა, შავ-
ბნეულ დროს დაკარგული ელზას ლოტარინგია. აგ-
რედვე მისი ლანდტაგის შემადგენლობაში შევა რეი-
ნის პრუსია, პფალცა და სხვა. აუარებელი კონტრი-
ბუცია ხომ იმ ზომისა იქნება, რომელიც გასრეს
მთელს გერმანიას. სიცოცხლის უფლება საფრან-
გეთსა აქვს. მხოლოდ საფრანგეთს, სხვას არავის.

როგორც ვხედავთ, გერმანიის დემილიტარიზაცია
ესნიშანია ბარბაროსების განადგურების, სახელდობრ
იმ ბარბაროსებისა, რომელთაც დაანგრიეს ლუვენი,
მალინი, ანუ რეიმსის საკათედრო ტაძარი. განადგუ-
რებულ გერმანიას კი... აღარა დარჩებარაა. თვით უბ-
რალო მტვერიც კი ევროპის მხედრულ შურის-
ძიებას დაავიწყდა თვით გიოტეც კი, რომელიც
გოტიურ მშვენების სამკაულ რეიმსის ტაძარზე არა
ნაკლებ მნიშვნელოვანია...

ლიოგენ .

მაშ გაუძარჯოს

ამშენებლებს!

I

სალამო ხანი იყო, როდესაც ბორჩალოში კერ-
ძო პირისაგან გავიგე ჩვენი ქართული თეატრის და-
ლუპვა და ჩვენი საკულტურო დაწესებულებათა გა-
ნადგურება. უზომოდ შევწუხდი, კი არ მჯეროდა.

დაღამდა. ჩემი ფიქრი ქართულ თეატრს, წე-
რა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკას გარს ევ-
ლებოდა, თანაც იმედი მეძლეოდა, რომ მისი
ნათქვამი ტყუილი გამოდგებოდა.

ველოდი გაზეთებს.

ძალად ვიწიქ. ფიქრები ჩემი იგივე გაგრძელება
იყო, სიზმარში გაზეთიდან ამოვიკითხე ქართული
თეატრის გადაწვა.

ძილში ვსტიროდი.

მეორე დღეს ყოველივე ვცანი გაზეთით.

ჩემი ტირილი ახვა.

ტირილი და წუხილი არას გვიშველის, ეხლავე
უნდა შევედგეთ საქმეს და, იმედი მაქვს, თუ რომ
მხნედ მოვეკიდეთ, უფრო უკეთესს შევქმნით, რაც
ცეცხლმა გაგვიანდგურა.

II

თბილისში შევიარე.

გავეშურე ქართულ თეატრის სანახავად. გულის
ფანქალით ვუახლოვდებოდი. სასახლის ქუჩა არ
შეეცვლილა, თავად-ახნაურობის შენობას არა დაჰკ-
ლებია რა.

თითქოს ქართულ თეატრსაც გარეგნობით არა
შეშლია რა.

შევიარე შიგნით .

დიდხანს ვუცქირე... ყოველივე შავად გამოი-
ყურებოდა.

ყოველ კუნჭულს ვათვალიერებდი, ყოველ
აღაგას ვაცქერდებოდი, თვლით ვზომავდი.

და მათში ყოველივე განადგურებულ წერტილს
ვპოულობდი.

ბოლოს სცენას ვაგებდე .

და მომეჩვენა ჩვენი სცენა დანგ⁴ეული— ფარ-
და ჩამოფხრეწილი .

შიგ მოსჩანდნენ ჩვენი მსცოვანნი არტისტები
— საკინძე ჩამოღვლილნი და ხელი-ხელ ჩაკიდებულ-
ნი მწარედ დასტიროდნენ თავიანთ განადგურებულ
სახლსა.

III

მივეშველოთ, ქართველებო! ავაშენოთ დან-
გრეული სახლი, ვისაც რითი შეგვეძლება. მივიტა-
ნოთ ყველამ თითო აგური მაინც, დავალოთ ერთი-
ერთმანეთზედ და შევქმნათ უკეთესი საეროვნო სა-
სახლე, რომ კიდევ ვიხილოთ და ჩვენი მსცოვანნი
არტისტები ერთხელ კიდევ ხელი-ხელ ჩაკიდებულნი
ფერხულს უვლიდნენ განახლებულ სცენაზედ.

IV

უდიდეს ქამთა-ვითარებას განვიცდით.

ყოველივე იმსხვრევა, ყველაფერი ინგრევა.

და ყოველივე ჩვენგანი მეტაღ მიძიმე პირობებ-
ში ვიმყოფებით.

ერთ ჩემს ნაცნობს ქართულ თეატრის შესახებ გამოველაპარაკე.

— რა დროს თეატრაო, ვერა ხედავ ქვეყანა ინგრევა და შენ თეატრის განახლებაზედ შელაპარაკებო?!

რას ვეტყვოდი,— დუმილით გავეც პასუხი.

ერთმხრივაც მართალია, ჩვენი საეროვნო უბედურება მსოფლიო უბედურებამ დაჩრდილა.

ყოველი ჩვენგანი მონაწილეა ამ მსოფლიო უბედურებისა, გატაცებულია ამ დიადი ომით, მას მხოლოდ ეს ომი აინტერესებს, და მისი ფიქრი და ზრუნვა მხოლოდ ამ ომისკენაა მიმართული, მაგრამ ქართველებმა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ომი წარმავალია და თეატრი კი სამარადისო საეროვნო საკმე.

ამ ჟამად ზევრი ცდა დაგვეკრდება თეატრის განახლებრსათვის და თუმცა ცუდი დროა ყველასათვის, მაინც ნუ მიგხედავთ ამას, ჩვენ—ჩვენი წვლილი გავიღოთ და ავიშენოთ ქართული თეატრი.

მაშ გაუმარჯოს ამშენებლებს!

Legatus.

P. S. ამასთანავე რედაქციამ მიიღო სამი მანკომიტეტისათვის გადასაცემად. რედ.

ნაწევრები ტირტეს ჰოეზიდან *)

სიმღერა პირველი

ვიშ რა კარგია სამშობლოსათვის დავცეთ ველზე პირველ წყებაში,

*) ტირტე ბერძენთა მგოსანი, სცხოვრობდა მ.ე. VII საუკ. ქრ. დ.ბ. წინ. მან სპარტელ გმირებს უმღერა სავანო ჭიმნები, რსაც თანაჟედროვე მკვლევარნი ტუეიდად არ ადარებენ სახელოვან ფრანგ რუჟე დელილის „მარსელიესას“. ჩვენ შიერ ხათარგმნა ეს სამი სიმღერა ტირტემ სწორედ მასინ შესთხზ, როდესაც სპარტასა და მესენის შუა სამკვდრო-სასიტონცხლო ომი იყო. რამდენჯერმე სპარტა დამარცხდა, თითქმის იმედოც კი დაჭკარგა გამარჯვების, მაგრამ დელიეს მისინის წინასწარმეტყველების თანხმად მათ მალე გამოუჩნდათ ეთენელი მგოსანი ტირტე, რომლის ჭიმნებმა მამცობის ტრცხლი ააგზნო სპარტანელნი და გამარჯვებაც მოუპოვათ. ამის გამო თვით ამ ჭიმნებს დიტერატურაში უწოდებენ „მესენის ჭიმნებს“.

გმირთა სიკვდილი სახელოვანი გვეპოვოს ჩვენს მტრის ისრით გაგმირულს! ვინც ივლტო მშობელ ქვეყნის კერიდან და მიატოვა ნახნავ-ნათვის, ვინც სამათხოვროდ აიღო გულა, უცხო ქვეყნებში დაეხეტება, ვინც დასთმო დედა, ან ტურფა სასძლოს ხვეწნისთვის ომის ცეცხლს მოერიდა, — დაე, ქედ-წახრით თავ-ლავ დასხმულმა განვლოს სიცოცხლე წყევლა-ტანჯვაში, შთამომავლობა მისი მარადათ იქმნეს შერცხვენილ და გაწილებულ! მაშ ჰეი, გმირნო, დაჰკარით ბუკსა, მამული გიხმობთ სიკვდილის ველზე, მას ერთს შესწირეთ ეგ თქვენი ფიქრი, თქვენი ზრახვა და მისწრაფებანი! ნორჩნო არწივნო, გავსწიოთ წინ-წინ, წინაპართ სული აღვინთოთ ლამპრად, მტერს შევუტიოთ, ვეკვეთოთ შედგრად: ანუ სიცოცხლე, ანუ სიკვდილი! ნუ დამანახვებთ მტერმან გაოტოთ, ქალარა მხედარს თმას ნუ შემირცხვენთ, მომყეთ ფეხდაფეხ, გვერდს მომიდექით მე თქვენ გასწავლით დიდებულ სიკვდილს! ვინც დაეცემა, იგი გახდება შთამომავლობის გასაღმერთებლად! ოჰ, რომ იცოდეთ, თუ რა კარგია პირველ წყებაში გმირთა სიკვდელი!

სიმღერა მეორე

თქვენ ხართ უფნებელ დიდ ჰერკულესის შთამომავალნი, გესმით, თქვენ, გმირნო! ძვესი კვლავ გწყალობთ, მის საღმრთო კალთა თქვენს დასაფარად მზადაა ყველთვის! მაშ რაღას შიშობთ? მტერს რას მიუფრთხით? დაე, ყველამა თავის ფარხმალი მტრის მოქნეულ შუბს წინ დაუყენოს, უარჰყოს ლაჩართ ბედნიერება სიცოცხლისადმი მორცხვი ტრფიალი! ჩვენი ვალია ასე უშიშრად ჩვენ წინ მოცეკვე სიკვდილს ვუმზიროთ, ის შევიყვაროთ, მას ერთს ვიტრფოდეთ, ვიდრე ცხოველ მზის ცელქ სხივთა თამაშს! წარბ-შეკმუხვნილმა დიდმა მარიხმა დაჰღვარა თქვენთვის მხურვალე კრემლნი, და წინასწარვე გაგინაწილათ გამარჯვებისა დიდი სახელი.

ოჰ, რომ იცოდეთ, თუ ვითარ დაგდევთ
 იგი ფეხდაფეხ თქვენს დასაფარად!
 სდევნეთო მტერი, გიყვიეთ იგი,
 აოტეთ, ბიჯიც არ დაუთმოთო!
 მაშ აბა, წინ-წინ შეჯგუფდით, გმირნო,
 მხარი-მხარს მიეცეთ, ეკვეთეთ მტერსა,
 ვინც წინ დაეცეს, ის იფარავდეს
 თვის უკან მდგარსა თანამოძმესა.
 მძულან ლაჩარნი, მხდალი მონანი,
 მძულს გაგმირული მებრძოლი ზურგში!
 ვინც ივლტო მტრისგან, ზურგი აჩვენა,
 შერცხვა და გვარიც მით შეარცხვინა!
 ვაი სირცხვილო, სისხლის შებღალავე,
 ვაჰ, თუ ზურგ ნაკოდ მებრძოლს სისხლი სდის,
 და ბუქ ანადენ მტერის ასახელად
 შადრევნის შეფად ველს მოჩუხჩუხებს!
 მაგრამ, ვიშ იმ ტკბილ სანახაობას,
 როს წინა რიგში გმირი ეცემა,
 გამტყდარ მახვილზე თვალეებსა ჰხუჭავს,
 ტუჩს იკვნეტს შურის-ძიების კბილით,
 აი, მოიკრებს კვლავ სიმამაცეს,
 წაიმოიჩოქებს, ფარს აიფარებს,
 ასწევს მარჯვეთა მართოლვარე ხელსა
 და მოტეულ მტერს ნამსხვრევ მახვილით
 გაუპობს მდღვრად გულის ფიცარსა!
 დაე, ამ მსხვერპლის სიკვდილთან ერთად
 მოკვდეს მებრძოლი და მით აღმადლდეს!
 აჰათ, ჰაბუკნო გმირნო, ეს გქონდეთ
 თქვენ მაგალითად ყოველ წუთს და ჟამს!
 ისწავლეთ მისგან სიკვდილის ფასი,
 ისწავლეთ დაცვა ძვირფას მამულის!
 ნუ, ნუ ინდომებთ, რომ ფართა ჩრდილ ქვეშ
 მიეცეთ შორის მოსვენებას!
 ზმანება, ძილი ფიცხელ ომის დროს
 შერცხვენა არის თვით მებრძოლისა!
 არა, აღსდევით, შეუსვენებლივ
 სტყორცნეთ, აწვიმეთ ცეცხლის ისრები,
 მახვილი შუბზე, შუბი მახვილზე
 გადაუმსხვრიეთ მტერს წინა რიგზე!
 ფარით ფარს მისწვდით, ფეხით კიდევ ფეხს,
 ჩაფხუტს ჩაფხუტით თავზე ახვედეთ,
 ჩამოაფხრიწეთ გულზე ჩაჩქანი,
 ეციოთ ფერდებში და მკვეთრ მახვილით
 გამოუშვიგნეთ გულ-ღვიძლი მტერსა!
 თქვენც, ჰე, მებრძოლო უკანა წყებას
 სუმბუქი ფეხით რიგ-რიგად რომ ჰხდევთ,
 ამართეთ ყველამ ფარები შუბზე,

მით გაიკეთეთ თავ-შესაფარი,
 რომ მტრის ქვის სეტყვამ, ნატყორცნ ისრებმა
 ვერ მოგაყენოთ რაიმე ვნება!
 მაშ, წინ, მებრძოლნო! ფარ შუბ-შიმშერიო!
 ვიშ, რა კარგია გმირთა სიკვდილი!

სიმღერა მესამე

რა ფასი უნდა ჰქონდეს უბრალო
 სიკვდილის შვილსა, თუნდ იყოს მეფე,
 ანუ თვის ტოლთა დამმარცხებელი
 მრავალ-ფეროვან ფალავნობაში!
 რას ვაქნევ მისსა ახოვანებას,
 თუნდ ჰქონდეს მკლავში ციკლოპის ღონე,
 იყოს ფეხმარდი, სწრაფი ვით თრაკეს
 მთა-ღრედ მქროლავი ქარ-ბუქის ფრთები!
 მის სილამაზე, მოხდენილობა
 თვით ტითიონის პირზე ზიზღსა მგვრის,
 არად ჩავადებ მის სიმდიდრესაც,
 თუნდ ძლიერ მიდას აღემატოდეს!
 არც თუ ტანტალეს შვილობა კმარა,
 ანუ ადრასტეს მომხიბლველი ხმა:
 დიდება ჩვენი ჩრდილად ვაჰქრება,
 თუ არ გვაქვს გმირთა ღირებულება!
 უწყოდეთ, გმირნო, ვისაც არ ძალუძს
 ისმინოს ფარხმალთ მკვეთრი წკრიალი,
 ვინც არა სუნთქავს პატივ დიდებით,
 სამშობლოს დიად სახელის სულით,
 ის ზედმეტია, გაგვშორდეს ეხლავ,
 ჩამოგვეცალოს, ხელს ნუ შეგვიშლის!
 გმირთა-გმირობა, აი რა გვხდის ჩვენ
 უკვდავ ღმერთების თანასწორად,
 აი გვირგვინი, დაფნთ სიკეკლუცე
 ჰაბუკ მებრძოლის შუბლის სამკობლად!
 ვიშ, ნეტავ იმ ერს, ვისაც ჰყავს შვილნი,
 შვილნი მამაცნი, მტრის შემრცხვენელნი
 ვინც ვაქცევაზე არ იფიქრებენ,
 და მთელი მათი ფიქრი-გონება
 იქნება ბრძოლა, პატივ-დიდება
 მშობელი მხარის, მშობელ მამულის!
 სიკვდილის ფრთებ ქვეშ გმირი მებრძოლი
 ქარიშხალსავით წინ გაიჭრება,
 მრავალჭრილობით გულს იყვავილებს,
 ფარს მტრის ისრებით იხვრეტს, ეცემა,
 მაგრამ ამ გვარი დაცემით მამულს
 შარავანდდათ თავს მოეწვება!
 ოჰ, ნეტავ იმას! დიდი, პატარა
 ცრემლს დააყრიან, ცრემლს დიდებისას,

ქლაქს მორთავენ ბნელი ძაძვებით, იტყვიან ლექსებს მისსა საფლავზე შთამომავლობას დაუტოვებენ მის საქებურსა საქმეს საგმიროს! ის უკვდავია, ვით თვით მარხი, ვის რისხვის მეხით ველზე დაეცა, მაგრამ იმავე სიკვდილის ლახტით სამარადისო სიცოცხლე! მისწვდა! თუ ძვეს ენება და მის ბრძანებით გადურჩა სიკვდილს ჭაბუკი გმირო, იგი დაბრუნდეს სახლში დიდებით, თვის დღეს განვლიდეს ნეტარებაში და სიბერის ეჟის ყრმათ მოუთხორობდეს წინაპართ ამბავს, წინაპართ ლეწლას! მას, უკვე ხუცესს, თეთრ თოვლით მოსილს კრძალვით, პატივით მოეპყრობიან, მისი იქნება ტკბილი სიცოცხლე, მისი იქნება თვით მოსვენებაც! მაშ, ჰე, ჭაბუკნო მებრძოლნო, წინ, წინ! ისწავლეთ ბრძოლის ღირებულება! აღივსეთ სრული სიმამაცითა; ეოშ, რა კარგია გმირთა სიკვდილი!

დ. კასრძე.

შ რ ე ს ა

„გოლოს კავკაზა“-ს ერთ-ერთ ნომერში, სახელდობრ № 2370, დაბეჭდილი იყო საყურადღებო წერილი, საიდანაც ვებეჭდავთ — ჯერჯერობით უკომენტარიოდ, უფრო თვალსაჩინო ადგილებს. მკითხველს მოეხსენება, რომ ჩვენს ყურნალსა და „გოლოს კავკაზა“-ს შუა საერთო არაფერია და თვითონ მიხედება დღევანდელ დღეს რატომ ხდება მოსაგონი პატივცემული ეზოპი.

...ჩვენს გვერდზე, რომ იმავე დროს, როცა იწვევენ კავკასიის ბეჭდვით სიტყვას ცილის წამებს-თან საბრძოლველად, უფრო ხმა მალდა უნდა იყვნენ მოწვეულნი თავდასჯერადობისა და ზრდილობისადმი, რომ განდევნილი იყოს კავკასიელ გაზეთებიდან სისტემატიური ცდა წინ უსწრონ მოვლენებს, ანგარიში წარუდგინონ ჯერ შეუქმედ წვადისათვის და დაუშვებდნენ სასუფეველი მხოლოდ ერთ „ეროვნებს“.

„კავკასიის სლოგან“ ეფიქს დღე დეკანოზს ერთ საკითხს სასამხეთის ავტონომიაზე.

განს ეს დროს შესაფერია, ან ტაქტიურია სხვა ერების მიმართ თუნდა ქართველებისა შინგ?

„მისკი“ და „ბაკუ“ სამართლიანად უნდა უფრო გულწრფელ გამოხმატველად ჩავთვალოთ სამხეობის ინტერესებისა, რადგან ისინი მუშაობდნენ ამ მხრივ „კავკ. სლოგანს“ გაჩენის დიდი ხნით წინა.

თქვენ ვერ შეხვდებით ამ გაზეთებში იმ დაფინებულ მოთხოვნას, სამხეთის „პლიტიკურ თავისუფლებისა“, რომლითაც ატრელებულია „კავკასიის სლოგანს“ ფურცლები. „კავკ. სლოგანს“, იწვევენ უკმაყოფილობას თვით სამხეობიდან, უფრო კეთილგანიერებში და რომელიც სედავენ რომ დროს შესაფერი არ არის უფირილი შორეულ მომავალზე, ოცნება თვითმართველობაზე, როდესაც უშირველეს ეოვლისა, საჭიროა დახსნა სამხეთის სიცოცხლისა და ქონების ოსმალებით...

საკითხი სამხეთის ავტონომიაზე, შეიძლება აღიძრას მხოლოდ გამარჯვების შემდეგ... ერთი ზაწია საკითხი, რომელიც ერთად უნდა გადასწავიტონ სამთა შეთანხმების სახელმწიფოთ, ვის წინაშეც დამართულია დიდი საკითხი ევროპის გადამიჯნისა...

ამ გვარად, უქმია ლაზარაკი სამხეთის ავტონომიაზე.

მაშ რად იმეორებენ ამას დაჟინებით „კავკ. სლოგანში“, რაც იწვევენ უსიამოვნებას კავკასიელ სხვა ერებისას, მაგალ. ქართველებისას, რომელთა 200,000 კაცი მართლაც მამაცად იბრძვის ჩვენ ჯარებში; არა ნაკლები ენტუზიაზმით მიდიან დრუჟინებში და არ ტრაბახობენ თავისი გულწრფელი მისწრაფებით სამშობლოს დაცვისათვის, არ თხოულობენ წინდაწინვე ჯილდოს...

შემდეგ ავტორი იხსენიებს 13 ლენინისთვის ბრძანებას, რომ მშვიდობიანი ხალხი ერთნაირად მფარველობის ქვეშ იმყოფება, რომელ ეროვნებასაც უნდა ეკუთვნოდეს და უმატებს:

„ამ მოკლე სიტყვაში ნათელი ზასუსია „კავკ. სლოგანს“ ეოველგვარ ანქარებაზე ავტონომიის საკითხში და სამხეობის გამოყოფაზე, როგორც შეტად დასხურებულებისა...“

ამრიგად, მეტი სითავდაზნე და საქმიანობა საჭირო, ნაკლები ხმაურობა და კვეხნა და უველაფერი მოკვარდება, სიცხე გაივლის.

ადმოთება სხვა და სხვა „ხმების“ გამო არა დიროს, რადგან ისეთი მკაღითი, როგორც დაბრუნება ბრძოლის ველიდან სამხე-მოსხდისეთა „ბომოუსადეგრობისა გამო“, არასცხით არ შეიძლება მიეწეროს ცილის წამებას.

მაგრამ ეს ხომ ერთეულებია, რამეღნიც მთელ ხალხს ღაქს არა სცხებენ.

დაწყებულია თუ არა ოსმალეთში სომხების უღელტა?

ეხლა ჩვენ გვეძლევა შეძლება დავამზვიდოთ კავკასიელი სომხები, რომელნიც აღდევებული იყვნენ სომხებით დასახლებულ ოსმალეთის ვილაეთებიდან მოსულ ამბებით.

ჩვენში გავრცელდა ხნები, რომლებმაც პრესაშიაც ამოყვეს თავი, რომ ოსმალეთში უკვე დაიწყეს სომხების ხოცვა-ჟლეტა და ოსმალეთის სომხებისათვის აბდულ-ჰამიდის რეჟიმის შავი დღეები დადგაო.

ერთმა პირმა, რომელიც სრული ნდობის ღირსია და რომელიც ომის ასპარეზიდან დაბრუნდა და კარგად იცნობს საქმის მდგომარეობას ოსმალეთის სასომხეთოში, გადმოგვცა, ხმელი ოსმალეთში დაწყებულ სომხების ხოცვა-ჟლეტაზე ნაადრევიანო. ჯერ-ჯერობით ოსმალეთის სასომხეთოში არავისა ჰხოცავენ, თუმცა ბევრი სომხებ შორის მოუსვენრობასა გრძნობენ, ეშინიანთ საქმის გაართულებისა, სტოვებენ თავიანთ სოფლებს და მთებისაკენ მიეშურებიან. ოსმალეთის ადმინისტრაციას ნაბრძანები აქვს კონსტანტინოპოლიდან, მოერიდოს ყოველნაირ საქმის გამწვავებას. ცდილობენ გული მოიგონ მოსახლეობისა, ჰპირდებიან შეღავათს, პრივილეგიებს და ურჩევენ კანონიერი დახმარება გაუწიონ ჯარებს და მმართველობის წინ ლოიალობა დაიცვან.

სოფლებში გავრცელებულია სომეხთა კოსტანტინოპოლელ პატრიარქის კონდაკი, რომელიც ურჩევს სომხებს, სასტიკი კანონიერება დაიცვან და ერთგულნი იყვნენ მთავრობისა.

ყველა ვილაიეთში სომხები, თავდაქერით იქცევიან და მხოლოდ ვანის ვილაიეთში დათარეშობენ სომეხთა რაზმები, რომლებიც კავკასიის საზღვრებიდან გადადიან. („ზ. რ.“)

მსოფლიო პატრიარქი ოსმალეების მიმართ

სინოდალურ წრეებში კოსტანტინოპოლიდან მიღებულია ცნობა, რომ ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტის თავმჯდომარე ნაზიმ-ბეი სარწმუნოებათა მინისტრთან ერთად მივიდა მსოფლიო პატრიარქთან, გერმანთან, და მოსთხოვა ხელი მოეწერა ბერძნულ და ოსმალურ ენაზე დაწერილ მოწოდებაზე,

რომლითაც სთხოვენ ბერძნულ ეკლესიებს ილოცონ ოსმალეთის გამარჯვებისათვის. მსოფლიო პატრიარქმა გერმანმა წყრომით უარპყო ეს მოთხოვნილება და განაცხადა: „თქვენ შეგიძლიანთ მე გადამტეხთ, მაგრამ ვერ მომხრით კიაო“.

მოწოდება ხელმოუწერიელი დარჩა.

(„ბ. ვ.“ და „კ. ს.“)

ამას წინად დაახლოვებით ამგვარივე ცნობა იყო გაზეთებში სომეხთა კათალიკოსის შესახებ, რომელიც ოსმალეებმა აიძულეს ხელი მოეწერა მოწოდებაზედ, რომლითაც ოსმალეთის სომხებს იწვევდა და დახმარება გაეწიათ ყველაფერში მთავრობისათვის და ხელი შეეწყუთ მტერთან საბრძოლველად.

ეს ორი ცნობა მით უფრო საინტერესო ხდება, რომ (როგორც დღევანდელ ნომერში მოყვანილ წერილიდანაც სჩანს, „ზ. რ.“ № 264) ფაქტიურად ოსმალეთში სომხების უღელტა არა სწარმოებს, რასაც ჩვენი რედაქციის კერძო ცნობებითაც ვამოწმებთ და მაშასადამე სიმართლეს მოკლებულია ის მართლაც ამაღელვებელი და გულის ამაშფოთებელი ცნობები „კავკ. სლოგო“-სი, რომლის მიხედვით სომხის 17 სოფელი ამოუღებელია უკვე ჩვენ სწორედ შეგვაძრწუნა ამ წერილმა და ბუნებრივად ვთვლიდით იმ ტალღას, რომელიც მოაწვა კავკასიის ოსმალეთიდან გადმოსახლებულ სომეხთა გამოქცეულების სახით, მაგრამ, ღვთის მადლით, დღეს ირკვევა, რომ შიში სომხებისა თითქმის უსაფუძვლო და გაზვიადებულია.

მ ი ღ ი ო ნ ე ბ ი

რუსეთმა მაშველი ხელი გაუწოდა ამიერ-კავკასიას.

რუსეთიდან მოდიან მოღვაწენი და თან მიაქვთ მილიონები ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა დაქირილ და ომისაგან დაზარალებულთა დახმარებისათვის. „რუსეთის ქალაქების კავშირის“ წარმომადგენელმა ჩელნოკოვმა კავკასიის ქალაქებს ერთი მილიონი ჩამოუტანა.

„რუსეთის საერობო კავშირის“ მიერ გამოგზავნილი ბ. ბ. შლიპე და შერემეტიევი კიდევ რამდენიმე მილიონით ჩამოვიდნენ, რათა კავკასიაში მოაწყონ საერობო დახმარება და მიეშველონ დაზიანებულ მკვიდრ მცხოვრებელთ.

მადლობის მეტი რა ეთქმით ამ წარჩინებულ მოღვაწეთ კეთილშობილურ განზრახვისათვის?

მაგრამ ერთი რამაა საკითხავი:

ვის ჩაებარება საბოლოოდ ეს ფულები და ვინ იქნება მისი დანიშნულებისამებრ გამნაწილებელი?

აქამდის მარტო ხატისოვ-არუთიუნოვის გვარები გვემის.

ჩელნოკოვმა, ამბობენ, ნახევარ მილიონის ჩეკი ჩააბარა ხატისოვს.

შლიპპემ და შერემეტეევმაც ვერ აუხვიეს, ამ მოღვაწეთ, ამისდა მიუხედავად, რომ ბ. ხატისოვს ფაქტიურად ფართო საერობო საქმეებთან მეტადრე საქართველოში, არავითარი კავშირი არა აქვს

იმ კრებაზედ, რომელზედაც შლიპპე-შერემეტეევს საერობო ბიურო უნდა მოეწყობათ, მიიპატიუეს ა. ხატისოვი, რომელმაც რასაკვირველია თან მოიყვანა არუთიუნოვი და არლუთინსკი . .

სრული სიმშვიდით ჩაიარა ამ კრებამ ნ მილიონ კავკასიის მუსულმანთა წარმომადგენლების დაუსწრებლად.

ორ ქართველს, ვგონებ ამ კრებაზედ შემთხვევით მყოფს, —თავად აბხაზს და სუმბათაშვილს „კრებამ“ აღმაცერად შეხედა. და უკანასკნელებმაც ეს იგრძნეს და დაუყონებლივ უარი გამოუცხადეს თავის მონაწილეობაზედ ბ. შლიპპეს

ბ. ხატისოვი დარჩა იქ

ბ. ხატისოვი დარჩა აქ

და აი, რუსეთის მაშველ მილიონებს, მთელ ამიერ-კავკასიისათვის დანიშნულს, ბ. ბ. ხატისოვ-არუთიუნოვ. უნდა მოუარონ.

და მოუვლიან კიდევ...

რადგანაც ეს პირნი დიდ სიძლიერეში შევიდნენ.

რადგანაც დღეს „სომხები და სომეხთა საკითხი“ ის მთავარი ღერძია, რომლის გარშემო მთელ ამიერ-კავკასიის მოსახლე ერთა საქირ-ბოროტო კითხვები ტრიალებს...

ეს სომხის მოღვაწენი ისეთ საიმედო პირებად არიან გამოცხადებულნი რომ როდესაც ამ სტრიქონებს ვწერ კალამი მიკანკალებს...

მათი გვამების უპატივცემოთ მოხსენება დღეს საშიშია

ებლა ადვილი ასახსნელია, რომ ქართველ წარმომადგენლებს „საერობო კრებაზედ“ შიშის ხარი დაეცათ და გაიქცნენ.

და რასაკვირველია, ჩელნოკოვ-შლიპპე-შერემეტეევმაც ქედი მოიხარეს ამ ძლიერ პირთა წინაშე და დღეს „სომხის ნაციონალური ბიურო“ მთელ ამიერ-კავკასიის ძიხად გამოაცხადეს.

მაგრამ ხვალ?

ხვალ, როდესაც გულუბრყვილო და ვიწრო ერთმხრივ პოლიტიკას ბურუსი აეცლება და ხეტი-სოვების ნამოქმედარი —საპნის ბუშტები, მიერთმევით, ბ. ბ. ჩელნოკოვ შლიპპე-შერემეტეევს ხელში რა შერჩებათ?

დიდი წყენა, მაგალითად, ქართველებისა. არ ვიცი რას იტყვიან მუსულმანთა ერები კავკასიისა.

მაგრამ ქართველები კი აუცილებლივ ამ „ხასიათის“ მოწყობილ დახმარებაზედ კატეგორიულ უარს იტყვიან.

აქამდისაც აჭასი ქირი უმილიონობოთ გამოგვივლია ქართველობას.

იმედია ქართულ ღარიბ საღაროთივე ქართველი ხბლხი თავის მრავალ დაჭრილეს, დაჩეხილეს და დაზიანებულ ქვეყანას მოუვლის.

ესეც ისევე ძველია, როგორც ძველია თვით საქართველო და მისი ერი.

რუსეთის მოწინავე საზოგადოებისაგან ქართველი ერი მეტ გამჭირაზობას ელოდა.

ჩვენ ვიყავით მეგობრები ყველასი და სიცოცხლეს არ ვზოგავდით სხვის ბედნიერებისათვის და სამადლობელოდ არც ერთი გულწრფელი მშველელი შეგობარი არ გვეყვანდა.

თუ გვეყვანდა ისიც სხვის კარებიდან შემოსული.


ქართველებს კი საკუთარი კარები აქვთ.

ჯერ ამ კარებში რუსეთის პოლიტიკური მოღვაწენი არ შემოსულან.

და ის ერი, რომელიც ასეთ გაქარვება-აოხრებას განიცდის მაინც იმდენ სითამამესა და სიამაყეს გამოიჩენს, რომ სთქვას:

ნს მილიონები მე არ მიიდა.

ეკალი.



დაჭრილი აფიცრის წერილი

ჩემო ძვირფასო დედა!

ნუ გაგიკვირდება, რომ მოსკოვიდანა გწერ. ვწევარ წითელ ჯვრის საავადმყოფოში. სუბუქადა ვარ დაჭრილი. ალბად, ვილაც მხურვალედ შევედრებია ღმერთს, რომ მე 20 მარიაშობისთვის დატარილებულ ჯოჯოხეთს გადურჩი. 19 მარიაშობას, ავსტრიის სახლვარზედ, ლიუბლინის ახლო, მატარებლიდან გამოვედით, ხოლო 21-ს დილის 4 საათიდან გაჩაღდა ბრძოლა ავსტრიელებთან. ჩვენ ტყის განაპირა გვექირა, ჩვენს პირდაპირ დაახლოვებით 3000 ნაბიჯის სიშორეზედ, მტერი იყო დარაზმული. პირველად მათი ტყვია ჩვენამდის ვერ აღწევდა. წამოიწიეს თუ არა, ტყვიისმფრქვეველმა რაზმმა მხნე მუშაობა დაიწყო და გავითენდა შავი ღღე. ტყვიებს საშინელი ზუზუნნი გაჰქონდა, ზოგი ყურთან ახლო, ზოგიც ზედ თავზედ გადაგვიქროლებდა. ირგვლივ ჯარისკაცები უმოწყალოდ იხოცებოდნენ. ჩვენის მხრით მხოლოდ ორი ქვეითი ბატალიონი იყო პოლკისა, მტრის მხრიდან კიდევ მთელი ბრიგადა (2 პოლკი) და მისი რეზერვი. არ დავფარავ; პირველ ხანებში ხან მარჯვნივ გადავხრიდი თავსა, ხან მარცხნივ, თითქო ამას რაიმე ან რისამე შეეღალა შეეძლო. მაგრამ ეს გაგრძელდა მხოლოდ ნახევარ საათს. მერე სრულიად ყურადღებას არ ვაქცევდი ტყვიების ზუზუნსა. აღსანიშნავია რომ ჯარისკაცები დიდ ანგარიშს უწევენ იმას, თუ რა გუნებაზე არის აფიცერი და ამიტომაც მე ძალიანა ვცდილობდი რაც შეიძლება მეტი სიყოჩაღე და მხიარულება გამომეჩინა. დავდიოდი ჩემ ჯარისკაცებ შორის, რომლებიც სასროლად გამზადებულნი თხრილებში იწვნენ, ვემუქრებოდი, ვამხნევებდი მათ. ხოლო ჩემდათავათ ვფიქრობდი: აი, საცაა ცელქი ტყვია მეც მომაგნებს, დამჭრის ან და მომკლავს მეთქი უტბად მოვიდა ცნობა, რომ მტერი მარცხენა მხრიდან შემოვლას გვიპირებს. ჩვენ რაც შეიძლება მალე უნდა ადგილი გვეცვალა.

ჩვენმა როტებმა ახალი ადგილი დაიჭირეს მტრის საშინელ ტყვიის წვიმის ქვეშ; ასეთ ყოფაში, 9 საათამდე დავყავით; ამ დროს კი საარტილერიო ყუმბარები დავვიშინეს. ეს ყუმბარები სულ სხვაა, ვიდრე უბრალო ტყვიები. ტყვიებს უკვე შევეჩვიე, ხოლო ყუმბარებმა, რომლებიც ერთი მეორეზედ მოდიოდნენ, მოულოდნელად შემადრწუნეს. ყუმბარა

კოტას ხოცავს, ერთსა ან ორს, ხოლო ახდენს საშინელ მორალურ შთაბეჭდილებას. ასე რომ ჯარისკაცები პირველად დაფრთხნენ და გაქცევა დააპირეს, მაგრამ ჩვენ შევაგულიანეთ ვინ ყიყინით და ვინ მუქარით. 10 საათზედ მოგვეშველა ა. ნის პოლკი ტყვიისმფრქვეველით. ამავე დროს საიდანაც გამოჩნდა ჩვენი არტილერია, რომელმაც მხნე იწყო მუშაობა. ყველა ერთბაშად აფრთოვანდა, მხნედ შეუტოეთ მტერს და ნახევარ საათში ავსტრიელებს უკვე დავახვინეთ. ჩვენმა როტამ ვერ მოითმინა გამოცვივდა ტყიდან და „ურას“ ძახილით დაედევნა მტერს. ფებ და ფებ მივდევდით. მთელი მინდორი მოფენილი იყო მოკლული ავსტრიელების გვამებით. გვიკვირდა, თუ საიდან მოვიდა ამდენი. ოტების დროს მტრის არტილერია უმოწყალოდ გვიშენდა; გვესროდა აგრედვე მისი სარეზერვო ჯარი, ასე რომ მტრის ტყვია-ყუმბარა წვიმასავით თავზედ გვცვივოდა. ირგვლივ ჯარისკაცები იხოცებოდნენ, მე სულ მივრბოდი და ვფიქრობდი: აი, საცაა ჩემი ჯერიც მოვა მეთქი. მაგრამ საბედნიეროდ უხიფათოთ მოვედით ახალ პოზიციამდე და ჯარისკაცებიც მყისვე დაწვნენ მიწაზედ დაღლილები. ავსტრიელები გაურბიან ხიშტებით ბრძოლას; ტყვედ გვებდებიან ჯგუფ-ჯგუფად; ამ დროს ყურის ძირში რალაც ვიგრძენი, წამსვე ხელი მოვისვი, მთელი ხელი სისხლით შემეღება. ქრილობა თვით მე შევიხვიე, ფორთხით მივედი უშიშარ ადგილამდე და გონებაც დავკარგე. როცა გონს მოვედი დავინახე, რომ ოთხს ჯარისკაცს ხელში ავეყვანე და გავყავდი ბრძოლის ველიდან. ტყვიებს ჯერ კიდევ ვაჰქონდათ ზუზუნნი. მე ლიუბლინში ჩამომიყვანეს და იქიდან მოსკოვს გამგზავნეს.

გაკოცებთ ყველას. ჩემზედ ნუ სწუხართ, კარგად მივლიან. მალე მოვრჩები და კვლავ ომში წავალ.

შენი არჩილი.

ფ ა უ ს ტ ი

(გაგრძელება)

ზესული. ვინ მიხმობს?

ფაუსტ. (პირს უკვირებს).

საზარელია ჩვენების სახე.

ზესულა. ძალუმის ხმითა გამომიძახე,

ჩემს სამყაროსკენ ესწრაფებოდი

და ეხლა—

ფაუსტ. ვაჰმე! სულ არ მენახე

აუტანელი თუ იქმნებოდი!

ზესული. სულ-შეხუთული მესწრაფებოდი

და ჰღაღადებდი რომ გჩვენებოდი,

რათა ხმა ჩემი შენ გაგეგონა

და სახე ჩემი ნათლად გეხილნა.

დავეყ მაგ სულის ძლიერს ძახილსა

და აქ ვარ, შენ წინ აწ განაცხადი!

რა თრთოლვა იტანს შენს გულს ზეკაცო,

სად გაჰქრა შენი სულის ღაღადი?

რა უყავ გული, რომელმაც სოფელს

თავის წილში შეუქმნა ბინა,

რომელსაც უნდა ქვეყნის სიამე,

თუ ქვეყნის სევდა ეტარებინა?

ჩვენ, უკეტავს სულებს რომ გვედრებოდა?

შვება-ცახცახით რომ მოგველტოდა?

და ღელვილ სულით ზემადლდებოდა?

სად, სად ხარ, ფაუსტ? მე ვისი ხმაც შემომ-

ჩიოდა

და ვინც არსების მთელის ძალით მემსჭვალე-

ბოდა?

განა ეს შენ ხარ, ჩემის სუნთქვით რომ მოს

რესილხარ?

განა ეს შენ ხარ, უღრმეს შიშით გლახ რომ

აესილხარ

გზად მოკრუნჩხული მხდალი მატლი, კია საბ-

რალი?

ფაუსტ. ცეცხლის ჩვენებავ, განა თუ მე უკან და-

ვიხვე?

ეს მე ვარ, ფაუსტ, შენი სწორი და თანაბა-
რი!

ზესული. ცხოვრების ტალღებში,

ქმნა-ჩენის გრიგალში

ვმადლდები, ვმადლდები,

ვხმაურობ, ვმოძრაობ,

ხან აქვით, ხან იქვით,

ხან ზევით, ხან ქვევით!

ვარ შობა და სიკვდილ-სამარე,

მე ვარ ზღვა მარადი, მღელვარე,

ცვალებად ქსოვილით

ცხოვრება მგზნებარე;

ასე ვქმნი დრო-ჟამის მშფოთავსა დაზგაზე

და ვიქსოვ ღვთაებას ცხოველმყოფ ტანსაც-
მელს!

ფაუსტ. შენ, ვინც შეიცავ უსაზღვრო სოფელს,

აღმძვრელო სულთ,

ჩემს თავს რარიგ ვგრძნობ შენ მსგავს ახლო-
ბელს.

ზესული. შენ ჰგევხარ იმ სულსა, რომელსაც მის-
წვდები,

მე არა! (ჭკრება).

ფაუსტ. (საფარქელში ჩაეცემა)

შენ არა?

მაშ ვისა?

მე მგზავსი ხატება ღვთაების

და ნუ შენ არა?

(ისმის კარის კაკუნია).

ვაი სიკვდილო! ვიცნობ მას, ჩემი თანაშემწეა.

ამ საუცხოვოს და მშვენიერსა მომისპობს წა-
მებს!

ხელსა შემიშლის გამოფიტულის მოძღვრების
მლილი

და ამ სულებთან საუბრის ნაცვლად გულს
გამიწამებს!

(შემოდის ვაგნერ, საღამურ ტანისამოსში. ღამზარი ხელ-
ში უკავია. ფაუსტ უკუღლად ჰირს მიიბრუნებს).

ვაგნერ. ო, მაპატივეთ! მომესმა თქვენი დეკლამა-
ცია,

ვგონებ რომ ბერძნულ ტრაგედიიდან ლექს
ჰკითხულობდით.

ეგ ხელობა ხომ დღეს მეტის-მეტად გასაჯალ
შია

და მსურს სასარფოდ გამოვიყენო და ბერჯელ
თხრობით

გამიგონია ვითომც და ხუცესს კომელიანტი
ქკვას ასწავლიდეს.

ფაუსტ. ჰო, თუ ხუცესი კომელიანტობს,
რაიც ხანდახან მოჰხდებდა ხოლმე.

ვაგნერ. ახ! თუ ოთახში მომწყვდელი ხარ,
სოფელს ძლივს ჰხედავ მხოლოდ უქმე დღეს,
გამადიდებელ შუშის შეწვევით
შორიდან უმზერ ხალხის სიკოცხლეს,
ამ დროს თუკი არ მქერმეტყველებდე,
მაშ როგორ უნდა მათ არწმუნებდე,
ანუ გზას როგორ უნდა უკვლევდე?

ფაუსტ. თუ კი არა ჰგრძნობ გულის სიღრმეში
მაშინ ვერც არას გაჰხდები რამეს;
თუ მთელს გულისყურს არ ჰხდი მოვალედ,
სულის წიაღით არ მომდინარებს—
მაშ შენთვის იყავ. კვლავ აკოწიწე
ერთს სხვის ნაგლეჯზე სხვა ნასუფრალი
და გადმობერე მ+ვერთ საღოროდან
ოქვენ მიერ ქმნილი მწირი რამ ალი.
მაიმუნებსა და მხოლოდ ბავშვებს
ესრეთი ქცევა თუ გაანცვიფრებს,
ხოლო გულს გულთან ვერ შეათვისებს
თუ სიტყვას გული თვით არ ამხილებს.

ვაგნერ. მაინც კარგია მქერმეტყველება
მოქარგულ სიტყვას მოსდევს დიდება!
ვგრძნობ, თვით ჩამოვრჩი მე ამ ხელობას.

ფაუსტ. სიტყვებში ეძებ რა სარგებლობას!
თუნდაც არ იყოს უშინაარსო
და ბაქი ბუქით არცა აავსო.
სიტყვა ნაკლები თვით ხელოვნებით
აღჭურვილია აზრით, გონებით.
და თუ ვაქვს რამე სათქმელად შენა,
რად უნდა უწყო სიტყვებსა დევნა?
ღიახ შემკული მქერმეტყველება,
რომელიც ბრწყინავს და მოკისკისებს,
დაუდგომელსა ქარს ემსგავსება,
ხმელს ფოთლებს შორის რომ დასისინებს

ვაგნერ. უსახლგრო არის, ეჰ, ხელოვნება
მაგრამ ხანმოკლე ჩვენი ცხოვრება!
როს ჩემს კრიტიკულს შრომას ვეძლევი
ხშირად აზრს, გულსა იპყრობს ნალველი;
ვერ გამოჰხანხო საშუალება,
რომ მით შეგეძლოს წყაროს მიგნება,
რა ძნელი არის, რა სატანჯველი.
და ჰხედავ, ჯერედ არ გაგივლია
აქ ნახევარი გზა ეკლიანი,
რომ ვიდევც კვდება ადამიანი!

ფაუსტ. განა ეტრადი წმინდა წყაროა,
რომლით ჩვენ ვიკლავთ წყურვლს მგზნება-
რის?

შენს მოსვენებას მაშინ თუ ჰპოვებ,
როს წყარო გულით თვით მომდინარებს.

ვაგნერ. მაგრამ, შემინდეთ! თავის დიდი შექცევა
არის,
რომ გადაჰგრინდე ეამთა სულის ვითარებაში;
გაიგო, ბრძენი ჩვენზედ უწინ როგორ ფიქ-
რობდა
და ჩვენ რამდენად წინ წავსულვართ ჩვენს
დროებაში.

ა. შ.

(შემდეგი იქნება).

წინანდელ წერილში № 34 შეცდომით არის:
სიკვდილი, ნორჩი—უნდა იყოს: სიკვდილი, ჩონ-
ჩხი.



ქართული თეატრი

ქართულ მსახიობთა ამხანაგობა საკუთარ თეატრსა
და გამკეობის „მზრუნველობას“ მოკლებული, აგერ
ერთი თუკა „სახალხო სახლში“ ჰმართავს წარმოდგე-
ნებსა, აუტანელ ზირთებში უხდება მკშაობა ამხანაგობას,
მაგრამ უკახასკნელმა წარმოდგენებმა დაგვარწმუნა, რომ
ჩვენს მსახიობებმა სძლიეს ეოკულგვარი დაბრკოლებანი
და თავის ძალასა და უნარს არ იშურებენ რათა თეატრა-
ლურ სუხანს მისტენ საჭირო ელფერი.

წარსულ კვირას ამხანაგობამ ორი წარმოდგენა დას-
დგა: ორშაბათს 17 გიორგობას ჰ. ზუღერმანის „ქვის
მთლეღნი“ ქართულად თარგმნილი ბ. სანჯალას მიერ
და ოთხშაბათს 19 გიორგობას „სოფლის ექიმი“ ბორ-
დოსი და ტვარდლის ცნობილი კომედია „სახუმა“.

„ქვის მთლეღნი“ და „სოფლის ექიმი“ დაკვირ-
ვებით იყო დადგმული. მიუხედავად მრავალი საკლისა
ართავე ზიქსამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. ეტეო-
ბოდა რეჟისორიცა და მსახიობნიც ბევრსა ცდილან და

ბევრი შრომაც გაუღიათ ამ ზიესების სტენაზე განხორციელებისთვის.

რაც შეეხება ცაგარლის „ხანუშის“, ჩვენს გვგობიას რომ ამგვარი კომედიების სტენაზე განხორციელება იმ სახით, რა სახითაც ბ. წუწუნავამ უჩვენა დამსწრე საზოგადოებას, ყოვლად შეუძლებელია.

სრულიად სამართლიანად ამბობს ერთი ჩვენი კრიტიკოსი: „ავ. ცაგარლის კომედიები და მათი ტიპების მრავალფეროვანი გაღრევა საუკეთესო მასალაა მომავალი ისტორიკოსისათვის, როდესაც ეს ისტორიკოსი შეუდგება წარსულ საუკუნის სამოცდაათიან წლების განხილვას და დახასიათებს.“ საქმე ის არის რომ ყოფა-ცხოვრების კომედია (ბ. ერისთავი, ანტონოვა, ავ. ცაგარელი) განსაზღვრული ეპოქის დამახასიათებელი დირებულება და დიდი შეცდომაა, თუ ასეთ ზიესების სტენაზე განხორციელებას სთავაზობს ეს ზრინციბი არ უღკას. ეს აუცილებელია, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში ზიესა გეჩვენებათ, როგორც დრო-მოქმედი და აწინდელ საზოგადოების სულაერ მოთხოვნებისათვის სრულიად შეუფერებელი. სწორედ ასეთი იყო „ხანუშა 19 გიორგობისთვის“, „სახალხო სახლში“. ეპოქის სტილი და კალორიტი სრულიად არ იყო დაცული. არ იყო ნაჩვენები ისეთი გარემოება, რომელიც მკურნებელის გულის-ყურს განსაზღვრულ ეპოქისაკენ მიიზღობდა. ეს კი უსათუოდ საჭიროა თუ კი ზემოაღნიშნულ ზრინციბს მივიღებთ მხედველობაში. ყოველ ავეჯს, სტენაზე დადგმულს, უსათუოდ განსაზღვრულ ეპოქის ელფერი უნდა ჰქონდეს; მომქმედ ზირთა მორთულობაც ასეთივე უნდა იყოს. ყოვლად შეუძლებელია მაგ. მსახიობნი ამ დროის მოდის მიხედვით იევენენ გამოწობილნი, ან სტენა მორთული იყოს დეკორაციის სტილის საფარდებითა და ზმბუკის ხლართულ სკამებით. თვითონ მომქმედ ზირთა მიხვრა-მოხვრა, დაზარატი, ერთი სიტყვით ხასიათი მოქმედებისა არ უნდა იყოს უხლანდელი, ზომიერების ფარგლებში, — რასაკვირველია. აი ასეთ დადგმულ „ხანუშა“-სა და მის მაჯვარ ზიესებს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი საზოგადოებისთვის. საჭიროა ეპოქის სტილისა და კალორიტის დაცვა.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო!

გთხოვთ ამ ჩემს ზატარა წერილს ადგილი ზისცუოთქვენს ზატეკემულ ჟურნალ „კლდეში“!

16 გიორგობისთვის „კლდის“ № 34 ში იყო მოთავსებული ვინმე „ქართლელის“ წერილი „ცოცხალი ლეშეა“. ეტუობა ბ. ქართლელს კარგად ვცნობივართ და შესაფერა სახელიც უწოდებია ჩვენთვის ქართულ სამღვდელთებისთვის, მაგრამ, რომ დაახლოებით გვიცნობდეს ბ. ქართლელი უფრო ბევრს საიდუმლოებს და მოქმედებს გათამყლფიბდა, რომელიც ბნელი ბურჟსით და საიდუმლოებით არის მოცული და დაფარული. ბიუროკრატ რუს ნ. დუბროვის კაკლის მტვრევა ჩვენ თავზე, როგორც ამის ქართლელი სწერს არა კმარა. ჩვენ შეგვიძლიან დუბროვის ვუზსუხით: — შენ ვინ გკითხავს და ვინ დაგაქენა ჩენს „აპეკუნათა“. ჩვენ უნდა მოგვთხოვოს ჩვენი მოვალეობა და საბუბრობა ჩვენმა ხალხმა მათ „უნდა ამტვრიონ კაკლა და სიფხილდას ჩაქუჩები ჩვენზე, რადგან ჩვენ სადათან ძილს ვართ მიცემულნი და სხვა გვას ვადგეგვართ და ვინც არ იქნებიან ამისთვის მოწოდებულნი და მართლა „ცოცხალი ლეშეა“ არიან გადაქველნი უნდა ჩამოშორდნენ ეკვლავფერს და ადგილი სხვას, დიხსეულს დაუთმონ, თუ არა და სხვების ჩიხინი ჩვენ ვერ გარდაგვქმნის და ისეც ცოცხალი ლეშეა დავრჩებით, თუნდ ორმოც დუბროვთანამ გვიწეროს შორიდან რეკვა-დარიგება და თუნდ კაკლის მტვრევაც მოგვეყენოს. საქმე შიგნიდანაა და ავიციხეც შიგნიდანა ტუდუკო მუდამ.

ულირსი ბერი.



რედაქტორ-გამომცემელი
რ. გაბაშვილი.

Arbiter.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ კვირულ საზოგადო-ეკონომიურ

და სალიბერატურო შუხნალ

„**კლდე**“-ზედ.

ფასი წლის ბოლომდის სავი აბასი

ცალკე ნომერი ყველგან 10 კაპ.

მოიკითხეთ ყველა მეგანზეთესთან

თბილისში გაზეთი

„**ახალი ქართლი**“

გამოდის ქ. გორში, კვირაში ორჯერ—ხუთშაბათობით და

კვირაობით. ცალკე ნომერი ღირს ერთი შაური. დაკვეთით წლის დამლევამდე 60 კაპ. ხელის მოწერა მიიღება: ივ. ავალიშვილთან, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში და გაზეთის თბილისელ აგენტთან ვიქ. მექანარიშვილთან, დუშეთის ქუჩა № 31.